სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის ტენდერი
ოფისებისთვის ავეჯის შესყიდვაზე

მიზანი:

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, ტენდერის პროცესში მონაწილე კომპანიებს (შემდგომში პრეტენდენტი) განუმარტოს სს “სადაზღვევო კომპანია იმედი ელ”-ის (შემდგომში კომპანია) მოთხოვნები და პირობები რათა, სრულად წარმოადგინოს სატენდერო წინადადება.

კომპანია სთავაზობს პრეტენდენტ/ებ/ს მიიღოს მონაწილეობა კომპანიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ოფისებისთვის ავეჯის შესყიდვაზე. გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის www.tenders.ge საშუალებით.

ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტ/ებ/თან ხელშეკრულებას გააფორმებს: სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ და სს „ვიანი".

შერჩევის პროცესში მონაწილე კომპანიები:

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილ კომპანიებს.

შერჩევის პროცესის მიმდინარეობა:

შერჩევის პროცესის ჩატარდება შემდეგი სქემით:

- პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 2023 წლის 29 სექტემბრის 18:00 საათისა;
- საჭიროების შემთხვევაში შერჩეულ პრეტენდენტ/ებ/თან ჩატარდება დამატებითი მოლაპარაკებები;
- ტენდერის ფარგლებში შესაძლებელია მოხდეს რამოდენიმე გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა;
- საბოლოო ეტაპზე მოხდება პრეტენდენტ/ებ/ის შერჩევა და გაფორმდება ჩარჩო ხელშეკრულება;
- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ/ებ/ის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს 3 თვის განმავლობაში;
- პრეტენდენტი პასუხისმგებელია შერჩევის პროცესის დასრულებამდე შეინარჩუნოს მათ მიერ მოწოდებული შემოთავაზების კონფიდენციალურობა;
- გთხოვთ სრულად წარმოადგინოთ მოთხოვნილი სატენდერო დოკუმენტაცია;
- გთხოვთ შემოთავაზებაში სრულად შეავსოთ ყველა დანართი და გადმოგვიგზავნოთ როგორც PDF ასევე Excel-ის ფორმატშიც.

ტენდერი განხორციელდება შემდეგ ვადებში:

ტენდერის ეტაპები	**ვადა**
ტენდერის გამოცხადება	25 სექტემბერი 2023 წ.
სატენდერო წინადადებების მიღება	29 სექტემბერი 2023 წ.
გამარჯვებული პრეტენდენტ(ებ)ის გამოვლენა	06 ოქტომბერი 2023 წ.
ხელშეკრულების გაფორმება	10 ოქტომბერი 2023 წ.

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ იტოვებს უფლებას ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შეაჩეროს ტენდერი, არ გააგრძელოს ტენდერი, შეწყვიტოს ან/და გამოაცხადოს ახალი ტენდერი პრეტენდენტ/ებ/თან წინასწარი შეთანხმების გარეშე. ტენდერის შეჩერების/ შეწყვეტის შესახებ პრეტენდენტებს ეცნობებათ მათ მიერ მითითებულ საკონტაქტო მისამართებზე.
ტენდერის შეჩერება ან/და შეწყვეტა არ გამოიწვევს რაიმე სახის, მათ შორის ფინანასური პასუხისმგებლობის დაკისრებას სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ისთვის.
სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ იტოვებს უფლებას კონტრაქტის ხელმოწერამდე გააფართოვოს ან შეცვალოს თავიანთი მოთხოვნები გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც წინასწარ წერილობით ეცნობებათ შერჩეულ პრეტენდენტ/ებ/ს.
პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი პროდუქცია სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტენდერის პირობებით გათვალისინწბულ ყველა მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია იტოვებს უფლებას არ მიიღოს შემოთავაზება.
გადაწყვეტილებას გამარჯვებულად გამოვლენის თაობაზე იღებს კომპანია პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასის/ კომპანიის გამოცდილების, რეპუტაციის/ წარმოდგენილი საქონლის ან და მომსახურების ხარისხის/ ნებისმიერი სხვა კრიტერიუმის შეჯამების საფუძველზე რომელსაც კომპანია მიიჩნევს საჭიროდ.

შემოთავაზება:

- შერჩევა ტარდება წინამდებარე დოკუმენტის, დანართი #1 -ით და დანართი #2-ით განსაზღვრული მოთხოვნების და სპეციფიკაციების შესაბამისად.
- პრეტენდენტმა შეკვეთის დაწყებამდე უნდა განახორციელოს ოფისების აზმოვითი ნახაზების შედგენა.
- შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს ავეჯის დამზადების,მოწოდების და მონტაჟთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს;
- ფასები უნდა მოიცავდეს თბილისის ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ხარჯებს;
- შემოთავაზებული ფასები უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს;

კრიტერიუმები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
პრეტენდენტ/ებ/ი შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- შემოთავაზებული პროდუქციის ფასი;
- შემოთავაზებული პროდუქციის ხარისხი/სპეციფიკაცია;
- გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის პირობა;
- მომსახურების შესრულების ვადა;
- კომპანიის გამოცდილება;

ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ცნობა საგადასახადო ორგანოებიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;
  დოკუმენტაციის მომზადების თარიღი წინ არ უნდა უსწრებდეს, დოკუმენტების წარდგენის თარიღს 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით;

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ უფლებამოსილია საკვალიფიკაციო დოკუმენტაციაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოახდინონ შერჩეული პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია თუ:

- პრეტენდენტი ირიცხება მოვალეთა რეესტრში;
- საგადასახადო ორგანოების მიერ პრეტენდენტის ქონებზე დადებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა;
- რეგისტრირებულია ყადაღა პრეტენდენტის ქონებაზე;
- დაწყებულია პრეტენდენტის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

- ფასების ცხრილი (დანართი #1 და დანართი #2-ის მიხედვით);
- შემოთავაზებული პროდუქციის დეტალური მახასიათებლები და სპეციფიკაცია;
- რეკომენდატორი კომპანიების ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია;

კონფიდენციალობა

- შერჩევის პროცესის მსვლელობის დროს პრეტენდენტ/ებ/ს უფლება აქვთ მოითხოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. პრეტენდენტი პასუხისმგებელია სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, როგორც შერჩევის პროცესის მსვლელობის, ასევე მისი დასრულების შემდეგ მიუხედავად ტენდერის შედეგებისა.

დანართი:

დანართში წარმოდგენილია სატენდერო პაკეტის შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- **დანართი 1**
- **დანართი 2**